

სს თელავის ღვინის მარანი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

ს ა რ ჩ ე ვ ი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	
სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-21
მმართველობის ანგარიშგება	22-27

სს თელავის ღვინის მარანი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს თელავის ღვინის მარანის (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, აქციონერთა კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ისეთი ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ცალკეულ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის ცალკეულ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ცალკეული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ცალკეული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია

თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- ცალკეულ მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 16 ნოემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი	-----	ზურაბ რამაზაშვილი
ფინანსური დირექტორი	-----	ნატალია უთიაშვილი

2023 წლის 16 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- ცალკეულ მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 16 ნოემბერს.


ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი



ზურაბ რამაზაშვილი

ფინანსური დირექტორი



ნატალია უთიაშვილი

2023 წლის 16 ნოემბერი

თბილისი, საქართველო





აუდიტორული კომპანია
შ.პ.ს. “ჯ. ბ. აუდიტი”
AUDIT COMPANY
“J. B. Audit”, LLC
www.jbauditi.ge



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს თელავის ღვინის მარანის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს თელავის ღვინის მარანის (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების მე-3 განმარტებით შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წავმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა

არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვს ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორის დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

მარიამ ფიცხელაური (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-874913**).

შპს „ჯ.ბ. აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

16 ნოემბერი, 2023 წელი

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

მარიამ ფიცხელაური (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-874913**).

შპს „ჯ.ბ. აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

16 ნოემბერი, 2023 წელი



სს თელავის ღვინის მარანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31-Dec-2022	31-Dec-2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	55,349,642	53,528,085
ბიოლოგიური აქტივები	9	7,559,297	6,448,507
საინვესტიციო ქონება	9	6,256,427	6,651,683
გრძელვადიანი აქტივები		69,165,366	66,628,274
მარაგები	10	33,442,580	32,437,629
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	11,448,339	15,650,924
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	12	13,561,151	12,420,233
მიმდინარე აქტივები		58,452,070	60,508,786
სულ აქტივები		127,617,436	127,137,060
კაპიტალი			
კაპიტალი	13	292,185	292,185
გაუნაწილებელი მოგება		122,428,266	120,214,948
სულ კაპიტალი		122,720,451	120,507,133
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	15	1,089,750	2,055,838
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,089,750	2,055,838
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,553,457	2,614,216
ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე წილი		-	293,721
მოკლევადიანი სესხები	15	1,253,777	1,666,152
მიმდინარე ვალდებულებები		3,807,235	4,574,089
სულ ვალდებულებები		4,896,984	6,629,928
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		127,617,436	127,137,060

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 16 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ რამაზაშვილი

დირექტორი

ნატალია უთიაშვილი

ფინანსური დირექტორი

სს თელავის ღვინის მარანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31-Dec-2022	31-Dec-2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	55,349,642	53,528,085
ბიოლოგიური აქტივები	9	7,559,297	6,448,507
საინვესტიციო ქონება	9	6,256,427	6,651,683
გრძელვადიანი აქტივები		69,165,366	66,628,274
მარაგები	10	33,442,580	32,437,629
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	11,448,339	15,650,924
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	12	13,561,151	12,420,233
მიმდინარე აქტივები		58,452,070	60,508,786
სულ აქტივები		127,617,436	127,137,060
კაპიტალი			
კაპიტალი	13	292,185	292,185
გაუნაწილებელი მოგება		122,428,266	120,214,948
სულ კაპიტალი		122,720,451	120,507,133
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	15	1,089,750	2,055,838
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,089,750	2,055,838
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,553,457	2,614,216
ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე წილი		-	293,721
მოკლევადიანი სესხები	15	1,253,777	1,666,152
მიმდინარე ვალდებულებები		3,807,235	4,574,089
სულ ვალდებულებები		4,896,984	6,629,928
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		127,617,436	127,137,060

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 16 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ რამაზაშვილი

ნატალია უთიაშვილი



დირექტორი

ფინანსური დირექტორი



სს თელავის ღვინის მარანი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლისთვის

სს თელავის ღვინის მარანი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2022	2021
საქონლის რეალიზაცია		33,479,577	38,934,861
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(19,831,575)	(20,653,659)
საერთო მოგება		13,648,001	18,281,202
რეალური ღირებულების ცვლილებით			
გამოწვეული მოგება მოსავლის აღებისას	5	142,267	492,033
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	6	(1,481,707)	(1,480,270)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(4,381,712)	(5,120,837)
სხვა შემოსავალი/ხარჯი		2,654,685	(474,081)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		10,581,535	11,698,048
შემოსულობა საინვესტიციო ქონების რეალური			
ღირებულების ცვლილებიდან, ნეტო		645,197	843,738
კურსთაშორის სხვაობიდან წმ.		(3,644,270)	(2,276,581)
შემოსავალი/ზარალი			
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	8	(44,930)	(87,229)
მოგება დაბეგვრამდე		7,537,533	10,177,976
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		7,537,533	10,177,976
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება		-	-
კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად			
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის		7,537,533	10,177,976
განმავლობაში			

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 16 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ რამა ზაშვილი

დირექტორი

ნატალია უთიაშვილი

ფინანსური დირექტორი

სს თელავის ღვინის მარანი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2022	2021
საქონლის რეალიზაცია		33,479,577	38,934,861
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(19,831,575)	(20,653,659)
საერთო მოგება		13,648,001	18,281,202
რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება მოსავლის აღებისას	5	142,267	492,033
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	6	(1,481,707)	(1,480,270)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(4,381,712)	(5,120,837)
სხვა შემოსავალი/ხარჯი		2,654,685	(474,081)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		10,581,535	11,698,048
შემოსულობა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან, ნეტო		645,197	843,738
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი		(3,644,270)	(2,276,581)
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	8	(44,930)	(87,229)
მოგება დაბეგვრამდე		7,537,533	10,177,976
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		7,537,533	10,177,976
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად		-	-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		7,537,533	10,177,976

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 16 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ რამაზაშვილი

დირექტორი

ნატალია უთიაშვილი

ფინანსური დირექტორი



სს თელავის ღვინის მარანი
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლისათვის

ლარი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	292,185	119,031,569	119,323,754
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		10,177,976	10,177,976
განაწილებული დივიდენდი		(8,994,597)	(8,994,597)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	292,185	120,214,947	120,507,132
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		7,537,533	7,537,533
განაწილებული დივიდენდი		(5,324,214)	(5,324,214)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	292,185	122,428,267	122,720,452

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 16 ნოემბერს დამტკიცებულია
გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ რამა ზაშვილი

დირექტორი

ნატალია უთიაშვილი

ფინანსური დირექტორი

სს თელავის ღვინის მარანი
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლისათვის

ლარი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	292,185	119,031,569	119,323,754
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		10,177,976	10,177,976
განაწილებული დივიდენდი		(8,994,597)	(8,994,597)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	292,185	120,214,947	120,507,132
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		7,537,533	7,537,533
განაწილებული დივიდენდი		(5,324,214)	(5,324,214)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	292,185	122,428,267	122,720,452

ფინანსური ანგარიშგება მეწეჯმენტის სახელით, 2023 წლის 16 ნოემბერს დამტკიცებულია
გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ რამაზაშვილი

ნატალია უთიაშვილი



დირექტორი

ფინანსური დირექტორი



სს თელავის ღვინის მარანი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლისათვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	31-12-22	31-12-21
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	39,077,504	37,275,834
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(18,130,004)	(18,856,624)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(3,159,295)	(3,263,440)
გადახდილი გადასახადები	(2,989,220)	(2,348,215)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(45,054)	(38,910)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	14,753,931	12,768,645
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,325,979)	(4,531,007)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	441,786	551,592
სესხების გაცემა	(3,135,550)	(3,379,500)
გაცემული სესხების დაბრუნება	3,086,650	3,838,798
მიღებული პროცენტები	18,581	18,395
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(4,914,512)	(3,501,722)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	-	1,205,401
სესხების დაფარვა	(1,661,091)	(2,010,086)
სესხზე გადახდილი პროცენტები	(57,565)	(105,372)
გადახდილი დივიდენდები	(5,058,003)	(8,544,867)
მიღებული თანადაფინანსება ტექნიკის შეძენაზე	70,000	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(6,706,659)	(9,454,925)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(1,991,842)	(1,149,033)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	1,140,918	(1,337,035)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	12,420,233	13,757,268
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	13,561,152	12,420,233

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 16 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ რამაზაშვილი

დირექტორი

ნატალია უთიაშვილი

ფინანსური დირექტორი


სს თელავის ღვინის მარანი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლისათვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	31-12-22	31-12-21
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	39,077,504	37,275,834
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(18,130,004)	(18,856,624)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(3,159,295)	(3,263,440)
გადახდილი გადასახადები	(2,989,220)	(2,348,215)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(45,054)	(38,910)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	14,753,931	12,768,645
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,325,979)	(4,531,007)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	441,786	551,592
სესხების გაცემა	(3,135,550)	(3,379,500)
გაცემული სესხების დაბრუნება	3,086,650	3,838,798
მიღებული პროცენტები	18,581	18,395
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(4,914,512)	(3,501,722)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	-	1,205,401
სესხების დაფარვა	(1,661,091)	(2,010,086)
სესხზე გადახდილი პროცენტები	(57,565)	(105,372)
გადახდილი დივიდენდები	(5,058,003)	(8,544,867)
მიღებული თანადაფინანსება ტექნიკის შეძენაზე	70,000	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(6,706,659)	(9,454,925)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(1,991,842)	(1,149,033)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	1,140,918	(1,337,035)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	12,420,233	13,757,268
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	13,561,152	12,420,233

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 16 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ რამაზაშვილი

ნატალია უთიაშვილი



დირექტორი

ფინანსური დირექტორი



1. ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია და საქმიანობა

სს თელავის ღვინის მარანი (შემდგომში კომპანია) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 1996 წლის 28 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით: 231165627.

სს თელავის ღვინის მარანის იურიდიული და ფაქტიური სოფ. კურდღელაური, ქ. თელავი, საქართველო.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საკუთარ ვენახებში ყურძნის მოყვანა, ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება საკუთარი და შესყიდული ყურძნისაგან, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საცალო და საბითუმო რეალიზაცია, მათ შორის ექსპორტი.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმოქცევაში გამოშვებული აქციების 1%-ზე მეტი წილის მფლობელი აქციონერები ჩამოთვლილია ქვემოთ. დანარჩენი აქციონერებიდან თითოეული (2 ფიზიკური პირი 2022 წელს, 3 ფიზიკური პირი – 2021 წელს) აქციათა 1%-ზე ნაკლებს ფლობდა.

აქციონერები	31-12-22
ზურაბ რამაზაშვილი	49.99%
კახა ზუკაკიშვილი	49.99%
სხვა	0.02%

2. მომზადების საფუძვლები

განცხადება შესაბამისობის თაობაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

საქმიანობის უწყვეტობა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა სავალდებულო გამონაკლისები და აირჩია შემდეგი არჩევითი გათავისუფლება რეტროსპექტული გამოყენებიდან:

რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ მიწა, შენობები და ვენახები შეაფასა რეალური ღირებულებით სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის 2017 წლის 1 იანვრისთვის და მათი რეალური ღირებულება მიიჩნია მის დასაშვებ საწყის ღირებულებად ამ თარიღისთვის.

საქმიანობის უწყვეტობა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის/კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. შეფასებისას გაითვალისწინეს COVID-19 პანდემიის და რუსეთ/უკრაინის გავლენის ანალიზი კომპანიის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა, და დაფინანსებაზე. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობამ მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, არ არის დაკავშირებული არსებით განუსაზღვრელობასთან.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	კანადური დოლარი
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8840	3.2581	1.9959
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040	4.1737	2.4208

შემოსავალი. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯები. ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაბეგვრა. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

სს თელავის ღვინის მარანი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერი

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანოკმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ხელმძღვანელობას მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. გამონაკლისს წარმოადგენს სტანდარტზე გადასვლის თარიღი 2017 წლის 1 იანვარი, როდესაც კომპანიამ შენობები და მიწა შეაფასა რეალური ღირებულებით და მათი რეალური ღირებულება მიიჩნია დასაშვებ საწყის ღირებულებად ამ თარიღისთვის. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიას საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა	
შენობა-ნაგებობები	25-50
დანადგარები და აღჭურვილობა	5-50
სატრანსპორტო საშუალებები	10-25
საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	5-25
სხვა	10-20

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია

სს თელავის ღვინის მარანი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერი

განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბიოლოგიური აქტივები

მსხმოიარე ნარგავები: ვაზის ვენახები. მსხმოიარე მცენარეები გამოიყენება მხოლოდ წარმოების გასაზრდელად. ერთადერთი მნიშვნელოვანი მომავალი ეკონომიკური სარგებელი მსხმოიარე მცენარეებიდან წარმოიქმნება მათგან წარმოქმნილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის შედეგად.

მსხმოიარე მცენარეები აკმაყოფილებენ მატერიალური აქტივების განმარტებას და განისაზღვრება თავდაპირველი ღირებულებით ამორტიზაციის და მატერიალური ღირებულების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების გამოკლებით. გამოწვევის წარმოადგენს სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მათი შეფასება რეალური ღირებულებით, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება.

მსხმოიარე მცენარეების ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი არის იმ კონდიციაში, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად. მსხმოიარე მცენარეების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 50 წელს.

ბიოლოგიური აქტივები (გარდა მსხმოიარე ნარგავებისა). ბიოლოგიური აქტივები (ყურძენი) თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით (მინუს გაყიდვის ხარჯი).

ყურძნის მოსავლის აღების (რთველის) შემდეგ სოფლის მეურნეობის პროდუქტი (ყურძენი) წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალურ მარაგს და თავდაპირველად აღიარდება რთველის დროს არსებული სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, კომპანიის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით.

მოგება, რომელიც წარმოიქმნება ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქტის თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით (მინუს გაყიდვის ხარჯი) ან ამ ღირებულების ცვლილებით, აღიარდება მოგება-ზარალში (ბიოლოგიური ტრანსფორმაციის ხარჯის გამოკლებით).

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მიერ ფლობილი ქონება საიჯარო შემოსავლის ან კაპიტალის ფასის გაზრდისთვის, ან ორივე მიზეზით, და არ არის კომპანიის მიერ ათვისებული საკუთარი საოპერაციო საქმიანობების განსახორციელებლად. კომპანია საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ

სს თელავის ღვინის მარანი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერი

საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ, რომელთაც აქვთ შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან წარმოქმნილი შემოსულობები და ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში და ცალკე ხდება მისი წარდგენა.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, წარმოშობილი

ოპერაციული ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი. კომპანიის დადგენილი კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის აქციონერების მიერ. კომპანიის დადგენილ კაპიტალში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ფულადი ვალდებულების სახით დაგამოქვითულია საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულ და დამტკიცებულნი არიან. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და საფინანსო ანგარიშგებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი ავტორიზებულია გამოსაცემად და აღნიშნულია შემდგომი მოვლენების შესახებ აღნიშვნაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიანი მაღალლიკვიდირებად ინვესტიციებს სამ თვიანი ან ნაკლები დადგენილი ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიას ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახდევს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველწლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა. კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით, თითოეული ზემოქმედების ფაქტების საფუძველზე (შენიშვნა 11).

5. რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება მოსავლის აღებისას

ლარი	2022	2021
მოსავლის სახით აღებული ყურძნის რეალური ღირებულება გასაყიდი ხარჯის გამოკლებით	3,507,496	3,570,680
ვენახის ხარჯები:		
სახელფასო ხარჯები	(1,423,204)	(1,683,747)
წარმოების გამოყენებული მასალები	(1,472,870)	(1,000,846)
ამორტიზაცია და ცვეთა	(416,300)	(393,952)
სხვადასხვა	(52,855)	(100)
სულ	142,267	492,033

სს თელავის ღვინის მარანი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერი

6. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები

ლარი	2022	2021
ტრანსპორტირების ხარჯი	(973,519)	(885,073)
რეკლამის ხარჯი	(251,875)	(388,776)
სხვა	(256,313)	(206,421)
სულ გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	(1,481,707)	(1,480,270)

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2022	2021
შრომის ანაზრაულება	(1,889,057)	(1,800,511)
იჯარის ხარჯი	(292,167)	(82,414)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(69,655)	(29,537)
ამორტიზაცია და ცვეთა	(199,527)	(176,504)
საექვო ვალების ჩამოწერა და ანარიცხი	-	(544,049)
კომუნალური ხარჯი	(11,887)	(6,916)
საწვავის ხარჯი	(81,299)	(58,275)
მივლინების ხარჯი	(25,595)	(27,513)
კომუნიკაციის ხარჯი	(20,166)	(19,360)
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი	(48,768)	(42,130)
კონსულტაციისა და აუდიტის ხარჯები	(324,740)	(283,799)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(143,030)	(171,412)
უიმედო ვალი	(62,483)	(883,742)
ბანკის საკომისიო	(35,404)	(36,278)
საგადასახადო ხარჯი	(918,332)	(671,676)
ქველმოქმედება	(28,784)	(47,425)
სხვადასხვა ხარჯები	(230,818)	(239,296)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,381,712)	(5,120,837)

სს თელავის ღვინის მარანი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერი

8. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

ლარი	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	18,581	18,395
საპროცენტო ხარჯი	(337,185)	(362,525)
სახელმწიფო გრანტი - აგრო სესხების დაფინანსება	273,674	293,680
ფინანსური იჯარის პროცენტი	-	(36,779)
სულ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	(44,930)	(87,229)

სს თელავის ღვინის მარანი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერი

9. ძირითადი საშუალებები, ბიოლოგიური აქტივები, საინვესტიციო ქონება

ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	დანადგარები და აღჭურვილობა	საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა.	ფინანსური იჯარით ფლობილი დანადგარები	ჯამი	ბიოლოგიური აქტივები	საინვესტიციო ქონება
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით										
	10,776,424	9,979,771	24,809,410	421,279	2,286,191	3,783,986	878,351	52,935,413	6,579,557	4,614,001
მიღებულია 2021 წლის საანგარიშო პერიოდში	83,851	705,335	2,667,951	39,672	423,168	632,836	-	4,552,813	11,285	-
დარიცხული ცვეთა	-	(265,785)	(1,302,871)	(60,126)	(185,580)	(77,840)	-	(1,892,201)	(142,335)	-
გასული	(4,295)	-	(292,348)	172	(428,032)	(118,511)	(30,982)	(873,997)	-	-
რეკლასიფიცირება სხვა კატეგორიაში	(1,193,943)	-	-	-	-	-	-	(1,193,943)	-	1,193,943
შემოსულობა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან, ნეტო	-	-	-	-	-	-	-	-	-	843,738
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით										
	9,662,036	10,419,320	25,882,142	400,998	2,095,747	4,220,472	847,369	53,528,085	6,448,507	6,651,683
მიღებულია 2022 წლის საანგარიშო პერიოდში	16,955	1,422,326	2,825,326	31,601	409,338	20,996	-	4,726,542	1,252,884	-
დარიცხული ცვეთა	-	(301,291)	(1,393,919)	(63,623)	(196,227)	(77,534)	(30,982)	(2,063,576)	(142,093)	-
გასული	-	(71,200)	(112,084)	(1,196)	(9,511)	(647,418)	-	(841,409)	-	(1,040,454)
შემოსულობა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან, ნეტო	-	-	-	-	-	-	-	-	-	645,197
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით										
	9,678,991	11,469,155	27,201,465	367,780	2,299,347	3,516,516	816,387	55,349,641	7,559,297	6,256,426

მიწა, ვაზის ვენახები და შენობები შეფასდა მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღში და კომპანიამ გამოიყენა შეფასებული სამართლიანი ღირებულება ამ აქტივების აღიარებისთვის 2017 წლის 1 იანვარს. კომპანიის ქონების ძირითადი ნაწილი დატვირთულია იპოთეკით საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად. საინვესტიციო ქონება შედგება თბილისში არსებული მიწის ნაკვეთებისა და სასაწყობო ფართისგან, ასევე კახეთის რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწებისგან. საინვესტიციო ქონების შეფასება მოხდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

10. მარაგები

ლარი	31-12-22	31-12-21
მზა პროდუქცია	1,611,111	915,166
ღვინო და სპირტმასალები	24,143,744	24,454,111
ნედლეული და მასალები	6,664,989	5,934,407
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1,022,736	1,133,945
სულ მარაგები	33,442,580	32,437,629

11. საექვო და სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

ლარი	31-12-22	31-12-21
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,601,858	18,230,091
საექვო ვალების ანარიცხი	(2,402,125)	(4,525,196)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	4,389	2,914
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	244,217	1,943,116
სულ მოთხოვნები	11,448,339	15,650,924

ცვლილებები საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშებში ასე გამოიყურება:

საექვო ვალების ანარიცხი

ლარი	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	4,525,196	3,981,147
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	544,049
წლის განმავლობაში აღდგენა	(2,123,071)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	2,402,125	4,525,196

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ლარი	31-12-22	31-12-21
ფულადი სახსრები ლარში	463,378	595,734
ფულადი სახსრები ევროში	4,145,925	4,970,734
ფულადი სახსრები დოლარში	8,727,178	6,744,689
ფულადი სახსრები გირვანქა სტერლინგში	222,314	108,679
ფულადი სახსრები შვეიცარიულ ფრანკში	219	252
ფულადი სახსრები რუსულ რუბლში	82	146
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	13,559,096	12,420,233
ნაღდი ფული ლარში	2,056	-
სულ ნაღდი ფული	2,056	-

სს თელავის ღვინის მარანი
მმართველობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერი

13. კაპიტალი

2022 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით სააქციო კაპიტალი მოიცავდა 224 758 ჩვეულებრივ აქციას, რომელიც გამოშვებული და სრულად გადახდილი იყო. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება არის 1.30 ლარი.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31-12-22	31-12-21
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,532,032	2,002,713
მიღებული ავანსები	848,337	103,556
გადასახდელი ხელფასები	161,385	199,374
საგადასახადო ვალდებულებები	11,703	308,574
სულ ვალდებულებები	2,553,457	2,614,216

15. ნასესხები თანხები

ლარი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31-12-22	31-12-21
სს „ბაზის ბანკი“ (სახელმწიფო აგროკრედიტი)	USD	12%	2022		37,664
სს „ბაზის ბანკი“ (სახელმწიფო აგროკრედიტი)	GEL	11%	2024	720,945	1,012,692
სს „ბაზის ბანკი“	GEL	10%	2023	557,200	1,237,378
სს „ბაზის ბანკი“	GEL	10%	2024	156,972	223,043
სს „ბაზის ბანკი“ (სახელმწიფო აგროკრედიტი)	GEL	11%	2025	908,410	1,211,213
სულ სესხები და ნასესხები თანხები				2,343,527	3,721,990
აღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				1,253,777	1,666,152
აღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				1,089,750	2,055,838

ნასესხები თანხები უზრუნველყოფილია კომპანიის უძრავი ქონებით (მიწა და შენობები, საინვესტიციო ქონება). 2022 და 2021 წელს სესხებზე დაერიცხა შესაბამისად 63 510 ლარის და 68 845 ლარის საპროცენტო ხარჯი.

16. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიის“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე,

სს თელავის ღვინის მარანი
მმართველობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერი

რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საბალანსო ღირებულება

ლარი	31-12-22	31-12-21
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,448,339	15,650,924
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	13,561,151	12,420,233
	25,009,490	28,071,158

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ფულადი სახსრების დიდი ნაწილი (90 %) განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები

საბალანსო ღირებულება

ლარი	31-12-22	31-12-21
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,553,457	2,614,216

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

17. პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიცილური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიცილური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

ბ) სასამართლო დავები და სარჩელები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში „კომპანიის“ მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიის“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები	31-12-22	31-12-21
საქონლის რეალიზაცია	9,465,028	12,229,392
მომსახურების შესყიდვა	63,428	154,017
საქონლის შესყიდვა	573,902	20,463
გაცემული სესხი	3,135,550	3,379,500
ნაშთები	31-12-22	31-12-21
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,142,096	11,249,922
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	798,108
სასესხო ვალდებულებები	-	293,721

ბ) ოპერაციები მმართველ რგოლთან

კომპანიის ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია სახელფასო ხარჯებში (იხ. მე-7 შენიშვნა):

ლარი	2022	2021
ხელფასი და ბონუსები	239,125	233,086

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი:

ფინანსური დირექტორი:

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები	31-12-22	31-12-21
საქონლის რეალიზაცია	9,465,028	12,229,392
მომსახურების შესყიდვა	63,428	154,017
საქონლის შესყიდვა	573,902	20,463
გაცემული სესხი	3,135,550	3,379,500
ნაშთები	31-12-22	31-12-21
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,142,096	11,249,922
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	798,108
სასესხო ვალდებულებები	-	293,721

ბ) ოპერაციები მმართველ რგოლთან


კომპანიის ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია სახელფასო ხარჯებში (იხ. მე-7 შენიშვნა):

ღარი	2022	2021
ხელფასი და ბონუსები	239,125	233,086

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი:



ფინანსური დირექტორი:



სს თელავის ღვინის მარანი
მმართველობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერი



S I N C E 1 9 1 5

MARANI

მმართველობის ანგარიშგება

სს „თელავის ღვინის მარანი“

2022 წ.

შესავალი

თელავის ღვინის მარანი წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას. კომპანია დაფუძნებულია 1996 წელს, როგორც კომპანია „ალაზანი 1915“. 1998 წელს კომპანიამ შეიცვალა სახელი და ეწოდა ს.ს. „თელავის ღვინის მარანი“. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თელავი, სოფელი კურდღელაური.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მევენახეობა-მეღვინეობა, ასევე ღვინის ბრენდის და ჭაჭის არყის წარმოება და შესაბამისი პროდუქციის შიდა და საექსპორტო ბაზრებზე რეალიზაცია.

„სს თელავი ღვინის მარანი“ ღვინის საცავები, ყურძნის და ღვინის გადამამუშავებელი და ჩამოსასხმელი საამქროები, ასევე მზა პროდუქციის საწყობები განთავსებულია კომპანიის იურიდიულ მისამართზე 8 ჰა ფართობზე. კომპანიას გააჩნია 270 ჰა მეტ ფართობზე გაშენებული ვენახი თელავის მუნიციპალიტეტში სოფელ კონდოლში და ყვარელის 56 ჰა ყვარელის მუნიციპალიტეტში ქინძმარაულის ზონაში. ვენახის ჯიშობრივი შემადგენლობა მრავალფეროვანია: საფერავი, რქაწითელი, მწვანე, შარდონე, კაბერნე სოვინიონი, ალექსანდროული, მალბეკი, მერლო, ქისი და სხვა.

კომპანია აწარმოებს სამოცი დასახელების ღვინოს. მათ შორის მშრალ, ნახევრად-მშრალ, ნახევრად-ტკბილ, ტკბილ და სხვადასხვა ტიპის ცქრიალა ღვინოებს. ასევე ხუთი დასახელების ბრენდის და ხუთი დასახელების ჭაჭა არაყს.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობა ორ ძირითად მიმართულებად შეიძლება გაიყოს: 1) მევენახეობა, ანუ საკუთარი ვენახების მოვლა და მათგან ყურძნის მიღება. 2) ღვინის წარმოება, რაც გულისხმობს საკუთარი და ფერმერებისაგან შესყიდული ყურძნის გადამამუშავებას, მისგან ღვინის წარმოებას, ჩამოსხმას და შემდგომ საბითუმო რეალიზაციას, როგორც შიდა ასევე 30 საექსპორტო ბაზარზე. წარმოებული ღვინის პროდუქცია რამდენიმე კატეგორიად იყოფა:

1. სუფრის ღვინო - უმეტესწილად იწარმოება მოსახლეობისაგან შესყიდული კონტროლირებადი ზონის ფარგლებს გარეთ მოწეული ყურძნისაგან. მაგ. ღვინო „თელავური“.
2. რეგიონალური ღვინო - იწარმოება მევენახეობის მხარის ფარგლებში მოწეული ყურძნისგან. მაგ. ღვინო მარანი საფერავი, მარანი რქაწითელი, მარანი მწვანე და ა.შ.
3. კონტროლირებადი ადგილწარმოშობის ღვინო - იწარმოება ყურძნის წარმოშობის კონტროლირებადი ზონაში მოწეული ყურძნისაგან. მაგ. ღვინო მარანი წინანდალი, მარანი ქინძმარაული, მარანი ტვიში, მარანი ხვანჭკარა და ა.შ.
4. კონდოლის ვენახების ღვინო - საკუთარი ვენახის ერთ კონკრეტულ, დაბალ მოსავლიან ბლოკში მომწიფებული ყურძნისგან. მაგ. კონდოლის ვენახების საფერავი, კონდოლის ვენახების რქაწითელი, კონდოლის ვენახების მწვანე-ქისი.

სს თელავის ღვინის მარანი
მმართველობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერი

5. სატრაპეზო ღვინო - საკუთარი ვენახის ერთ კონკრეტულ, დაბალ მოსავლიან ბლოკში მომწიფებული ყურძნისგან, რომელიც იწარმოება კომპანიის მარანში არსებულ ქვევრებში ტრადიციული კახური წესით. მაგ. სატრაპეზო საფერავი, სატრაპეზო 10 ქვევრი.
6. გვიანი მოსავლის ტკბილი ღვინოები, მაგ. სატრაპეზო აისვინი და სატრაპეზო გვიანი.
7. ლიმიტირებული რაოდენობის ღვინოები: მაგ. მარანი რეზერვი და უსახელოური.
8. მაღალ ალკოჰოლური სასმელები - სხვადასხვა კატეგორიის ღვინის ბრენდი და ჭაჭის არაყი.

ძირითადად საქმიანობასთან თანხვედრაშია მარკეტინგული აქტივობა, რაც გამოიხატება: მრავალრიცხოვან საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობით, ჩვენი უცხოელი დისტრიბუტორების მეშვეობით პროდუქციის მათ ბაზრებზე აქტიური რეკლამით, ასევე ჩვენს მარანში პერიოდული დეგუსტაციების და პრეზენტაციების მოწყობით.

ცალკე უნდა აღინიშნოს საერთაშორისო დახურულ დეგუსტაციებში მონაწილეობა და მიღებული მრავალრიცხოვანი უმაღლესი კატეგორიის ჯილდოები, რაც თავისთავად გვცხადებს პოზიტიური ცნობადობის ამაღლებაში.

კომპანიის განვითარების გეგმები

სს თელავის ღვინის მარანის გრძელვადიან გეგმებშია:

1. ვენახის მოვლა-გაშენების თანამედროვე გამოცდილების გაზიარებით გააუმჯობესოს საკუთარი ვენახის საყრდენი სისტემის ტექნიკური მდგომარეობა და ამით გააუმჯობესოს მოვლის ეფექტურობა, შესაბამისად შეამციროს ყურძნის თვითღირებულება და გაზარდოს ყურძნის მოსავლის ხარისხი;
2. 2023-2024 წლებში კომპანია შეისწავლის სხვადასხვა ტიპის სეტყვის საწინააღმდეგო ზომების ეფექტურობას ვენახებში და საცდელ ფართობზე მოახდენს მათ ინსტალირებას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს სეტყვით მიყენებული ზარალი;
3. მომდევნო წლებში მოხდება ღვინის ჩამოსასხმელი ხაზის, ასევე ყურძნის მიმღები დანადგარების ინტეგრაცია მართვის ცენტრალურ მოდულში. რაც გააუმჯობესებს წარმოების ეფექტურობას და შეამცირებს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომების რიცხვს;
4. 2023-2025 წლებში დასრულდება მარნის ტერიტორიაზე ისტორიული მარანის აღდგენა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ორგანიზაციის სტრუქტურა

კომპანიაში ძირითადად 2022 და 2021 წელს დასაქმებული იყო 150 ადამიანი. კომპანია ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

კომპანიის მართვას უზრუნველყოფს დირექტორი.

კომპანია აერთიანებს 8 დეპარტამენტს:

სს თელავის ღვინის მარანი
მმართველობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერი

1. ფინანსური დეპარტამენტი;
2. მეღვინეობის დეპარტამენტი;
3. მზა პროდუქციის დეპარტამენტი;
4. ღვინის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი;
5. მევენახეობის დეპარტამენტი;
6. გაყიდვების დეპარტამენტი;
7. შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტი;
8. მარკეტინგის დეპარტამენტი.

კომპანიაში ახალი თანამშრომლის მიღება ხორციელდება სამართლიანი კონკურსის საფუძველზე, სადაც გათვალისწინებულია მხოლოდ პროფესიონალიზმი და მონდომება. კომპანია ცდილობს საკუთარ თანამშრომლებს შეუქმნას შრომის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემო. კომპანია თანამშრომლებს მოტივაციის ამაღლების მიზნით აძლევს დამატებით ანაზღაურებას ბონუსების სახით და ცდილობს ყოველი წლის დასაწყისში შეძლების ფარგლებში მოუმატოს ხელფასები.

ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის მენეჯმენტის მიზანია, რომ ჰქონდეს სტაბილური საოპერაციო შემოსავლები. კომპანიის შემოსავალმა 2022 წლის რეალიზაციიდან შეადგინა 33,479,577 ლარი, რაც უმნიშვნელოდ შემცირებულია 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას რომ კომპანიამ შეინარჩუნა სტაბილური გაყიდვები ღვინის გაყიდვების მსოფლიო მაჩვენებლის ვარდნის ფონზე, თუმცა კვლავ ჩამორჩება 2019 წლის რეკორდულ მაჩვენებლებს.

2022 და 2021 წლის წმინდა მოგება შეადგინა წლების შესაბამისად 7,537,533 და 10,177,976 ლარი. შემცირება უმეტესწილად განპირობებულია სავალუტო კურსის უარყოფითი სხვაობით და ყურძნის თვითღირებულების ზრდით შედარებით დაბალი მოსავლის გამო.

კომპანიას საკმაოდ ჯანსაღი და მყარი ფინანსური მდგომარეობა აქვს.

ცხრილი (ლარში)	2022	2021
წმინდა საბრუნავი კაპიტალი*	54 644 835	55 934 697
ფული და ფულის ეკვივალენტები	13 561 152	12 420 233
სულ აქტივები	127 617 436	127 137 060
სესხები	2 343 527	4 015 712
ვალდებულებები სულ	4 896 984	6 629 928
კაპიტალი	122 720 451	120 507 133

*მიმდინარე აქტივები - (1-წლიანი სესხები + ვალდებულებები მომწოდებელთან + საგადასახადო ვალდებულებები).

კომპანიას აქვს სწორად დაკომპლექტებული საბრუნავი კაპიტალი - მიმდინარე აქტივები საშუალოდ 54 მლნ ლარით აღემატება მოკლევადიან (ერთ წლამდე) ვალდებულებებს. ეს, კომპანიის საკუთარ კაპიტალთან ერთად, კარგი მაჩვენებელია.

სს თელავის ღვინის მარანი
მმართველობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერი

2022 და 2021 წლის საოპერაციო მოგებამ შეადგინა 10,581,535 ლარი და 11,698,048 ლარი წლების შესაბამისად.

2022 წელს, 2021 თან შედარებით თითქმის არ მოხდა მარაგების ზრდა. ეს გარემოება მიუთითებს პროდუქციის რეალიზაციის სტაბილურობას.

2022 და 2021 წელს კომპანიამ განახორციელა 4,726,542 ლარის და 4,552,813 ლარის ინვესტიცია შემდეგ ძირითად საშუალებებში:

1. შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტები;
2. ღვინის და ბრენდის საწარმოებელი მანქანა-დანადგარების შეძენა;
3. სოფლის მეურნეობისთვის საჭირო მანქანა-დანადგარების და ტექნიკის შეძენა;
4. ვენახის გაშენება;
5. მიწის შესყიდვა.

არაფინანსური მახასიათებლები

ს.ს. თელავის ღვინის მარანი იცავს, როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შრომის უსაფრთხოების წესებს, ასევე ცდილობს გაითვალისწინოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილებები თანამშრომლისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის.

კომპანიის თანამშრომლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, როგორც შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაში, ასევე სტიქიური უბედურების დროს უბედური შემთხვევის თავიდან აცილებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს დაგროვილი ფინანსური ვალდებულებები საკუთარი ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანისეული“ მიდგომა მდგომარეობს არსებული ვალდებულებების და საკუთარი სახსრების მუდმივ მომიტორინგში, რათა როგორც ჩვეულ, ისე „სტრესულ“ მდგომარეობაში, არ მოხდეს ლიკვიდურობის რისკის ზრდა და კომპანიის ფინანსური და რეპუტაციული სტატუსის ეჭვის ქვეშ დაყენება.

ამ თვალსაზრისით, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მყარია და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მოცულობა წლიდან წლამდე სტაბილურია. ასე მაგალითად: კომპანიის ფულადი სახსრების და მათ ეკვივალენტების მოცულობა 2021 და 2022 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 12,420,233 ლარის და 13,561,152 ლარს წლების შესაბამისად.

ფულადი სახსრების დიდი ნაწილი (90 %) განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ფინანსური

სს თელავის ღვინის მარანი
მმართველობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერი

სტაბილურობის მახასიათებლები. კომპანიის ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ვადიანობის ანალიზით და კრედიტორებთან რეგულარული კომუნიკაციით ცდილობს რისკების მინიმიზაციას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკის უმთავრესი წყაროა რეცესიები, ვალუტის კურსის მკვეთრი რყევები, პოლიტიკური არეულობების და არა საბაზრო ფაქტორით გამოწვეული ავტორიტარული გადაწყვეტილებები, რაც შედეგად ან იწვევს არსებული აქტივების გაუფასურებას ან კიდევ საკრედიტო რისკების ზრდას. ამგვარ გლობალურ ფაქტორებზე კომპანიას გავლენა არ აქვს და შესაბამისად იყენებს ერთადერთ დაზღვევის მეთოდს, რაც მდგომარეობს ზოგადად ბაზრების დივერსიფიკაციაში და სარისკო ბაზრებზე (მიუხედავად მოთხოვნისა) პროდუქციის მიწოდებას ხელოვნურად შეზღუდვას ისევ და ისევ რისკების შემცირების მიზნით. ასეთი ბაზრის მაგალითს ამჟამად წარმოადგენს რუსეთი, როგორც არასაიმედო ქვეყნის ბაზარი.

გარდა ამისა, კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ გაუნაწილებელ მოგება/ზარალს. მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების როლი, მიზნად ისახავს: 1) უზრუნველყოს საწარმოს სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირება. 2) უზრუნველყოს თანამშრომელთათვის თანამედროვეობის შესაბამისი სამუშაო პირობები შექმნა 3) უზრუნველყოს ფინანსური კაპიტალის გონივრული გადანაწილება კომპანიის სტაბილური განვითარებისათვის და ასევე დამფუძნებლებისათვის შესაბამისი შემოსავლის მიღება.

მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია

2023 წლის 16 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

ს.ს. „თელავის ღვინის მარანი“-ს

დირექტორი:

ზ. რამაზაშვილი

ფინანსური დირექტორი:

ნ. უთიაშვილი

სს თელავის ღვინის მარანი
მმართველობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერი

სტაბილურობის მახასიათებლები. კომპანიის ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ვადიანობის ანალიზით და კრედიტორებთან რეგულარული კომუნიკაციით ცდილობს რისკების მინიმიზაციას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკის უმთავრესი წყაროა რეცესიები, ვალუტის კურსის მკვეთრი რყევები, პოლიტიკური არეულობების და არა საბაზრო ფაქტორით გამოწვეული ავტორიტარული გადაწყვეტილებები, რაც შედეგად ან იწვევს არსებული აქტივების გაუფასურებას ან კიდევ საკრედიტო რისკების ზრდას. ამგვარ გლობალურ ფაქტორებზე კომპანიას გავლენა არ აქვს და შესაბამისად იყენებს ერთადერთ დაზღვევის მეთოდს, რაც მდგომარეობს ზოგადად ბაზრების დივერსიფიკაციაში და სარისკო ბაზრებზე (მიუხედავად მოთხოვნისა) პროდუქციის მიწოდებას ხელოვნურად შეზღუდავს ისევ და ისევ რისკების შემცირების მიზნით. ასეთი ბაზრის მაგალითს ამჟამად წარმოადგენს რუსეთი, როგორც არასაიმედო ქვეყნის ბაზარი.

გარდა ამისა, კომპანიას წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ გაუნაწილებელ მოგება/ზარალს. მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების როლი, მიზნად ისახავს: 1) უზრუნველყოს საწარმოს სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირება. 2) უზრუნველყოს თანამშრომელთათვის თანამედროვეობის შესაბამისი სამუშაო პირობები შექმნა 3) უზრუნველყოს ფინანსური კაპიტალის გონივრული გადანაწილება კომპანიის სტაბილური განვითარებისათვის და ასევე დამფუძნებლებისათვის შესაბამისი შემოსავლის მიღება.

მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია

2023 წლის 16 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

ს.ს. „თელავის ღვინის მარანი“-ს

დირექტორი:



ზ. რამაზაშვილი

ფინანსური დირექტორი:



ნ. უთიაშვილი

